დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედიტორის" დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ **შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის"** (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა–განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხიმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ეთიკის ნორმების დაცვით დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენასთან მიმართებაში, რათა მოახდინოს პროცედურების დაგეგმვა არსებული გარემოებების შესაბამისად და არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპებისა და დაშვებების სათანადოობის შეფასებას, ასევე ზოგადად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის"** ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

27 აპრილი, 2015

თბილისი, საქართველო

შპს „ბიდიო"

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	**2014**	**2013**
საპროცენტო შემოსავალი	5	789,243	695,094
საპროცენტო ხარჯი	5	(316,392)	(234,201)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საეჭვო სესხების ანარიცხებამდე		**472,851**	**460,893**
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	10	(56,753)	(35,636)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**416,098**	**425,257**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	132,113	74,037
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება		57,238	26,927
ხელფასები და ბონუსები	7	(133,238)	(126,696)
ოფისის იჯარის ხარჯი		(42,352)	(39,907)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	8	(68,218)	(44,822)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(13,778)	(13,249)
მოგება დაბეგვრამდე		**347,863**	**301,547**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(52,991)	(50,172)
სრული შემოსავალი		**294,872**	**251,375**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2014	31 დეკემბერი 2013
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	10	714,463	165,012
გაცემული სესხები	11	2,652,126	1,770,889
ძირითადი საშუალებები	12	18,332	22,108
არამატერიალური აქტივები	13	25,430	31,554
სხვა აქტივები		21,350	10,124
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	14	9,948	-
		3,441,649	**1,999,687**
კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	2,587,612	1,368,011
გადასახდელი მოგების გადასახადი		12,775	37,721
სხვა ვალდებულებები		24	153
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	14	-	1,436
		2,600,411	**1,407,321**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		591,238	342,366
		841,238	**592,366**
		3,441,649	**1,999,687**

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემერს		**250,000**	**90,991**	**340,991**
2013 წლის წმინდა მოგება		-	251,375	**251,375**
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემერს		**250,000**	**342,366**	**592,366**
2014 წლის წმინდა მოგება		-	294,872	**294,872**
გამოცხადებული დივიდენდები	16	-	(46,000)	**(46,000)**
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემერს		**250,000**	**591,238**	**841,238**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2014	2013
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**347,863**	**301,547**
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	11,12	13,778	13,249
საპროცენტო შემოსავალი	5	(789,243)	(695,094)
საპროცენტო ხარჯი	5	316,392	234,201
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	10	56,753	35,636
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება		(57,238)	(26,927)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაში საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**(111,695)**	**(137,388)**
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გაცემული სესხების ზრდა		(667,933)	(444,311)
სხვა აქტივების ზრდა		(11,226)	(4,891)
სხვა ვალდებულებების შემცირება)		(129)	(180)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(790,983)**	**(586,770)**
მიღებული პროცენტები		751,367	686,178
გადახდილი პროცენტები		(257,624)	(233,005)
გადახდილი მოგების გადასახადი		(89,322)	(27,186)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(386,562)**	**(160,783)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,877)	(148)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(3,877)**	**(148)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		1,518,978	217,253
სესხების დაფარვა		(553,268)	(105,465)
დივიდენდების გადახდა	15	(46,000)	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**919,710**	**111,788**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა / (შემცირება)		529,271	(49,143)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში		**165,012**	**208,611**
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი		20,181	5,544
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		**714,464**	**165,012**